ISSN 0132-6015

ერეკლეულ ბიბლიოთეკა

ნიანგი 16 აგვისტო 1987

„არსებითად, ჩ ვ ე ნ ახლა გარდაქმნის მხოლოდ პირველ ტალღაზე ვიმყოფებით. ამ ტალღამ აამოძრავა დამყაყებული წყალი“.

გაზეთებიდან

პლაკატი მურთაზ აბაშიძისა

გარდაქმნა

ხალხი თვით არკვევს
თავის საჩივრებს, —
არის კამათი,
განსჯა, ძიება...
და რომ ჩვენს შვილებს
აღარ დასჭირდეთ
მამების ცოდვის
მონანიება;
რომ აეხადოს
დამალულს ფარდა,
განათდეს ყველა
ბნელი კუნჭული,
რომ ყველგან, მუდამ
ვამბობდეთ მართალს, —
თანაც ხმამაღლა,
არა ჩურჩულით;
რომ განახლების
დაჰბეროს ქარმა,
რომ არა კვეხნით,
აყალმაყალით, —
არამედ უხმოდ,
მტკიცედ და სწრაფად
ფეხს იკიდებდეს
ჩვენში ახალი;
რომ ვერ შეეძლოს
ვერვის ალაგმვა
ლაღი ნების და
საღი გონების, —
ჩვენ დავისახეთ
მიზნად გარდაქმნა
მ ო დ უ ნ ე ბ უ ლ ი
ჩვენი ცხოვრების!
ვაშა! და ვაშა!
გულწრფელი ვაშა! —
ვისაც ეს დიდი
საქმე ენება:
ზოგისთვის — წინსვლა
და ფრთების გაშლა,
ზოგისთვის — მართლა
გ ა დ ა შ ე ნ ე ბ ა!!!

მიხეილ ქვლივიძე

(„განთიადი“, საქართველოს მწერალთა კავშირისა და ქუთაისის განყოფილების ლიტერატურული ალმანახი, № 3, 1987 წ.)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეპიგრამა ყველაფერ

60 წლისა

მეგობრული შარჟი გიორგი იარალიანისა (ქ. ერევანი)

„ნიანგის“ სალაღობო სტრიქონები არჩილ სულაკაურს

შენა ხარ არჩილ ბრწყინვალე, მწერალი
წარჩინებული,
„მნათობის“ გამბრწყინებელი, მნათობად
გაბრწყინებული!
„ჯერ საქართველო, გიორგი, ჯერ საქართველო
ვახსენოთ,
რისთვისაც სული გვიდგას და ქვეყნად რისთვისაც
ვარსებობთ!“
სულ გლოცავ, სულაკაურო არჩილ, ამ სტროფის
დამწერო!
საქართველოთი ინთები, მის მოქმედ ვულკანთან დგები,
მის დიდ გუშაგად ითვლები, ავტორო „ნუ
გათათრდების“!
ერთადერთ ღმერთად უკვდავი ქართველი ხალხი
გეგულვის,
იმისთვის იბრძვი, რომ იყოს ეს ხალხი დალხინებული!
მართალი სიტყვის რაინდო, მართლის მთქმელი და
მქნელი ხარ,
ამშვენებ სიმართლისათვის მებრძოლ მწერალთა
ელიტას!
ქართული პროზის ფენომენს შენც მოაფინე
ნათელი!
წინ უსწრებს „მონანიებას“ (ფილმს) „დაბრუნება
აბელის“!
შენ საკადრისი პასუხი გაეცი ზოგ-ზოგ დემაგოგს
და კიდევ უფრო ამაღლდა შენი ეღო და შენაქო!..
დირექტორობდი „ნაკადულს“, გაზარდე,
გაამდინარე,
ერს მოუზღვავე წიგნები — საჭირო, შუქთამფინარე!
ქმნი ულამაზეს სამყაროს: მტრედებს მიმინო აძინებს!..
ძაღლი და ბიჭი აჭმევენ საჭმელს თავნება ბაჭიებს!..
უბრძანებ — მიისწრაფვიან ნაპირისაკენ ტალღები!..
ოქროს თევზს ეალერსები თეთრ ცხენზე ნანავარდები!..
ანთებ სატირას, იუმორს მზის მხურვალებით, მზის
ბრწყინვით
და „სალამურა“ სავსეა სიბრძნის მთესველი სიცილით!
უქრობი ცეცხლი გიზგიზებს შენს ჩუღურეთულ
ბუხარში
და იწვის (შეშის მაგივრად) შიგ კინტოს კულტი
უხამსი!..
სასიქადულოდ ააგე შენ შენი სვეტიცხოველი! —
მე ჩემი აზრი გითხარი, თავის აზრს გეტყვის
ნობელი!
გაქვს უკვდავების საგზალი, დინჯად ადიხარ ოლიმპზე,
ოთხივე მხრიდან გვანათებს ჩვენ შენი შემოდგომის
მზე!
მადლობას გიხდი დიდებულ პოეტს, ბელეტრიტს,
პუბლიცისტს
მამულით გადაღარული, გადადაფნული შუბლისთვის!
ბოროტზე გამარჯვებული ხარ ღმერთმოსილი არჩილი,
შეგხარის მრავალტანჯული მამის მარადი აჩრდილი!
მე შენი შემოქმედება მგვრის სიხარულს და სიამეს!
შენ ჩემი თავი მოგიკვდეს! — მოლოცვა დაგიგვიანე!

„ნიანგის“ დავალებით — ზაურ ბოლქვაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

არჩილ სულაქაური

პატარა კაცო!..

ო, გამარჯობა, პატარა კაცო!
მინდოდა,
ადრე მოგსალმებოდი,
    მაგრამ ცოტათი შემაგვიანდა!
ო, გამარჯობა, პატარა კაცო!
რად გინდა ასე მაღალი სკამი,
    ფეხებს რომ ვეღარ აწვდენ იატაკს?!
არ ვიცი,
    აქვს თუ არა აქვს აზრი,
რომ პირველ იყო ამქვეყნად სიტყვა
    და სიტყვა იგი თვით იყო ღმერთი!
სიტყვით სიტყვამდე ძაღლივით დავძრწი,
რომ შევაბრუნო ოდნავ ბორბალი
    ჩემი არსობის და ჩემი ბედის.
ვარ უშურველიც და შურიანიც
მხოლოდ შენ გამო,
    რადგან ცხოვრებას
    დასწრაფებიხარ ცვედანი ვნებით
და როცა გესმის ფრთების შრიალი,
შენ გეღიმება და არა გჯერა,
    რომ ქვეყნად კიდევ არსებობს ფრთები!
ო, გამარჯობა, პატარა კაცო!
შემაგვიანდა ცოტათი,
ადრე
    მინდოდა მეთქვა სალამი შენთვის!
არ ვიცი,
აქვს თუ არა აქვს აზრი,
რომ პირველ იყო ამქვეყნად სიტყვა
    და სიტყვა იგი თვით იყო ღმერთი!

დავყრუვდი?
შენი ხმა აღარ მესმის,
თუ გაგონებას აღარ მაცლიან?
ბაზარზე კურსი დაეცა ლექსის,
იწყება სულის დევალვაცია.

ხუთი-ექვსი

შენ ეძებ იმას,
რაც არ გჭირდება
არც შენ და არც სხვას,
ქვეყნად არავის.
მოგეახლება ფუჭი დიდება,
დამთრგუნველი და გულშემზარავი!
მე შემიძლია გითხრა ბოლომდე
ის, რაც არვისთვის მითქვამს აროდეს:
რაა კეთილი,
რაა ბოროტი,
რა უნდა გწყინდეს,
რა გიხაროდეს;
რა არის სივრცე,
რა არის ჟამი,
რატომ მოსულხარ ქვეყნად აბუჩი,
რად მიმზერს შენი თვალებით ღამე
და რატომ ვცხოვრობ გამოქვაბულში!..

1970 წ.

ნახ. ბ. ზუბაშვილისა



ფრაზები

● სინდისი რომ იყიდებოდეს, უსინდისო მაინც არ იყიდის.

● უკბილო კაცი კბილის ექიმის საკბილო გახდა.

● თუ კომბინატორებმა საერთო ენა გამონახეს, საერთო საქმე გაფუჭდება.

● დისერტაციას ერთი იცავდა, დისერტანტს — ხუთი.

● რესტორნის მიმტანი ოჯახში დიდი მიმტანი იყო.

ოთარ ნაჭყებია
(ქ. სოხუმი).

წყნის მკეთებლები

ფელეტონი

საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს სოხუმის სამკერვალო ფაბრიკა **რომ დიდი ხანია წუნდებულ პროდუქციას უშვებს, ახალი ამბავი არ არის!** ამაში კიდევ ერთხელ რომ დავრწმუნდეთ, საკმარისია მცირე ისტორიული ექსკურსი განვახორციელოთ: **1985 წლის 5 თვეში საწარმოს 55,4 ათასი ერთეული დაუბრუნდა უკან!** ცხადია, ეს პროდუქცია ფაბრიკას იმიტომ დაუბრუნეს, რომ უხარისხო იყო!..

თუმცა ი**მ წელს** წუნდებული პროდუქციის გამოშვება ფაბრიკის მესვეურთ აპატიეს, — როგორც ხშირად ხდება ხოლმე ჩვენთან, — გამართლება უპოვეს და უბატონოდ ხმაც არავისთვის გაუციათ!..

ალბათ ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ როცა ეს ცოდვა შეუნდეს, უწყების ხელმძღვანელებს იმედი ჰქონდათ, ფაბრიკის კოლექტივი დროის მოთხოვნათა შესაბამისად გარდაქმნიდა მუშაობას.

თითქოს გამართლდა უწყების ხელმძღვანელთა იმედი! — **1986 წლის პირველ 8 თვეში საწარმომ მხოლოდ 39,9 ათასი ერთეული დაწუნებული პროდუქცია მიიღო!**

თითქოს-მეთქი იმიტომ მოგახსენეთ, რომ **თუ 1975 წლის 5 თვეში დაწუნებული პროდუქციის ღირებულება 306,6 ათასი მანეთი იყო, 1976 წლის 8 თვეში მისმა ფასმა 392 ათას მანეთს მიაღწია! ახლა ამას თუ დავუმატებთ 18 ათას მანეთ ჯარიმას, უხარისხო პროდუქციის მიწოდებისთვის რომ გადაახდევინა მომხმარებელმა, არცთუ მცირე თანხასთან გვექნება საქმე!**

სხვათა შორის, სამკერვალო ფაბრიკის ხელმძღვანელები სხვა სახის ჯარიმებსაც სიამოვნებით იხდიან. ასე მაგალითად, **პროდუქციის მიუწოდებლობისა და ასორტიმენტის დარღვევისათვის მათ 76,6 ათასი მანეთი გადაიხადეს, ხოლო ანგარიშების დროულად გაუნაღდებლობისათვის — 44,3 ათასი მანეთი!**

საქმეს არც 1986 წლის მეორე ნახევარში დასტყობია გაუმჯობესება — **44 რეკლამაცია და 116,443 შემოწმებული ერთეულიდან დაწუნებული 200 ერთეული, ანუ მთელი პროდუქციის 0,2 პროცენტი გადაყვანილ იქნა დაბალ ხარისხში, ხოლო დეფექტების შესასწორებლად წარმოებას დაუბრუნდა 12,458 ერთეული, ანუ მთელი გამოშვებული პროდუქციის 10,7 პროცენტი. მთლიანად არ შეესაბამებოდა საფაბრიკო მარკირებას 18,227 ერთეული, ანუ 16,6 პროცენტი!..**

სულ კი უხარისხო პროდუქციის გამოშვებისათვის ფაბრიკას „სავსებით უმნიშვნელო თანხის“ — **17,979 მანეთი ჯარიმის გადახდა დაეკისრა!..**

ფაბრიკის მიერ წუნდებული პროდუქციის გამოშვების საქმეში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით სამკერვალო საამქროთა უფროსებს — **თ. ჯაიანს (სოხუმი), რ. გამისონიას (ტყვარჩელის ფილიალი)** და **შ. ზანთარიას (ოჩამჩირის ფილიალი).**

გვინდა სოხუმის სამკერვალო ფაბრიკის დირექტორს **ა. ხარჩილავას** ვკითხოთ: **სანამ გააგრძელებს ფაბრიკა წუნდებული პროდუქციის გამოშვებას?**

* * *

ბიჭვინთას უკანასკნელ წლებში უამრავი კარგი შენობა შეემატა. დიახ, კარგი, თვალწარმტაცი შენობა ცოტა როდია ბიჭვინთაში. უფრო სწორად, შენობათა აბსოლუტური უმრავლესობა თვალწარმტაცია, მხოლოდ... გარეგნულად! ბევრი მათგანი კი ისეა აშენებული, გარედან მტერს უბრმავებს თვალებს, შიგნიდან — მოყვარეს!

ამჯერად ორ ასეთ სახლზე მინდა გესაუბროთ. ესენია № 5 და № 6 საცხოვრებელი სახლები, რომლებიც **საქართველოს კურორტთა მართვის საბჭოს დაკვეთით აშენდა და მენარდე ბზიფის ექსპერიმენტული სახლსაშენებელი კომბინატი** გახლდათ (ახლა ამ საწარმოს სხვა სახელი ჰქვია — **ბიჭვინთის ზონის სახლსაშენებელი კომბინატი „გაგრა“**).

თითქმის სამი წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც ეს სახლები საექსპლუატაციოდ გადაეცა. მაგრამ მაშინვე იქნა სათანადოდ ფიქსირებული, რომ **სახლები თანამედროვე მოთხოვნათა მინიმუმსაც ვერ აკმაყოფილებდა, სავსე იყო უამრავი დეფექტით.**

მენარდე ორგანიზაციამ (**უფროსი ვ. ჩუკბარი**) თითიც არ გაატოკა იმისათვის, რომ არსებული დეფექტები გამოსწორებულიყო და ახალმოსახლენი ხეირიან ბინებში შესულიყვნენ.

1986 წლის დასაწყისში კი მაინც შეასახლეს ლოდინით თავგაბეზრებული მობინადრენი. და ცხოვრობენ ისინი ახლა ამ გარეგნულად მშვენიერ შენობებში, სადაც სადღეისოდაც არა აქვთ გათბობა და, ცხადია, ცხელი წყალი, არ მუშაობს ლიფტები!.. უხეიროდ ნაშენები სახლის კედლებში წყალი ჟონავს, რომელიც შემდეგ ბინებში აღწევს, მოუწესრიგებელია განათება. ერთი სიტყვით, გულგაწვრილებულმა მობინადრეებმა არ იციან, რა წყალში ჩავარდნენ! **მენარდე ორგანიზაციის მესვეური ვ. ჩუკბარი და მისი თანამოსაქმენი კი ჯიბეში ხელებჩაწყობილნი არხეინად დააბიჯებენ დაბა ბიჭვინთის ქუჩებში და მშვიდად ღიღინებენ: „ვინც რა უნდა თქვასო...“**

ნ. ზლვისპირელი

ჯანმრთელიც დასნეულდება!..

ფელეტონი

რუსთავის ვენდიხპანსერი
ორმოცდასამი წლის არის,
მორეულია შენობის
ყველა ქვა, ყველა ფიცარი!..
აქ პაციენტთა განკურნვა
ნამდვილად არის არაკი!
ბირუტყვის სადგომს უფრო ჰგავს
ეს ძველებური ბარაკი!..
ახლის პროექტის შედგენა
თითქოსდა კიდეც დაიწყეს,
მაგრამ კვლავ ისევ გრძელდება
„აი, ხვალე!“ და „აი, ზეგ!“
შენობა დახაკეტია,
მაგრამ ვინ გვაძლევს უფლებას?
აქ ავადმყოფი კი არა,
ჯანმრთელიც დასნეულდება!
ხულ არ დაინგრეს ეგ სახლი, —
ყველას შიში გვაქვს დღეს იმის,
მტვერში, ნაგავში ვიხრჩობით
ავადმყოფიც და ექიმიც!..
„ნიანგო“, ექთნებს, ექიმებს
შრომას თუ ოდნავ გვიფასებ,
გთხოვთ შენი თვალით შეხედო
ჩვენს წყალწაღებულ დისპანსერს!

რუსთავის ვენდიხპანსერის სამედიცინო პერსონალის სახელით —

ვანო რუსთაველი.

ნახ. ბ. ზუბაშვილისა

უსიტყვოდ

ილდარ კერძევაძე*

* საბჭოდ-ეკონომიკური ლექსიკონი

„კაცური კაცი“

ყრუს ჩასჩურჩულებს,
ბრმას კი თავს უკრავს
და კაცურ კაცად
ითვლება ლუკა!

დამსმენის სიმღერა

მე რად მინდა ფულებიო.
ღვინით სავსე ჭურებიო,
მე მჭირდება
დიდი,
დიდი,
დაცქვეტილი ყურებიო!..

უცხვირპირო

ვეფხვი ვეფხვია,
ლომი ლომია,
მგელი მგელია,
მელა მელია!..
ეს ვერ გავიგე:
ეგ, რომელია?

კანონზომიერება

რახან სამყაროს
ვერავინ შეცვლის,
რახან შექმნილა
ზეგარდმო ძალით,
რახან წყალია
ხმელეთზე მეტი, —
სულაც არ მიკვირს
ლექსებში წყალი.

რა თქმა უნდა, ირონიით

რის ირონია,
რა ირონია?!.
შეხედეთ,
მაღლა ბაირონია!

„მეგობარი“

ძმობა გამიბონა
კაცმა აჩაბაჩამ,
მაგრამ სულით მონა
მაინც მონად დარჩა!
დაიგროვა შხამი,
მოიღერა ყელი,
კიბის თავზე სკამი
დაიდგა და მღერის!

ორგული და პირშავი

ორგული და პირშავი
ნაღდ კაცს ეალერსება,
თავო ჩემო, ბეჩავო,
ნეტა რა გელექსება?!.
სულ ამაოდ დავობდი,
ათას შარში გაები, —
მაინც ყელყელაობენ
ცარიელი თავები!
კივის გულშემზარავად
სული გადაკვნეტილი!..
ეჰ, საშველი არაა,
სჯობს, აქ დავსვა წერტილი!

მარტივად გარითმული ფიქრები

როცა ნამუსი ძველდება,
როცა გულს ქონი ედება
და ვისაც ქონი ედება,
თავს იქით არ იხედება,
მაშინ
ცხოვრება ძნელდება!
როდესაც კარგად ბრძანდება
მტერი,
და ვითომ ბრძენდება,
როდესაც ვინმე დაიწყებს
ბრძოლას და...
უცბად ჩერდება, —

ცხოვრება უფრო ძნელდება!
ხოლო თუ ჩვენი სიტყვები
საქმითაც არ დამშვენდება,
ეს მიწაც ოხრად დაგვრჩება
და ერიც გადაშენდება!

ორატორი

ორატორმა
ორი ტორი
დაბჯინა კათედრას,
რადგან ედგა მონიტორი, —
მონიტორსაც გახედა.
დაიწყო და...
რა დაიწყო!..
გაცოფდა და გახელდა,
ციტატებიც დააფრქვია
იქიდან და აქედან!..
ერთი სიტყვით,
ერთ საათში
კაცი გადასხვაფერდა,
კათედრიდან ჩამოსული
თვალებს ძლივსღა ახელდა!..
. . .
კიდევ მინდა ორად ორი



სტრიქონიც მოვიშველო:
ამისთანა ორატორის
გჯერა რამე, მკითხველო?!

ორი ბანანი
კუბლიცისტური სიზმარი

პაპუასებში
ვცხოვრობდი წუხელ
(რას არ იხილავს
სიზმარში კაცი!),
ჩვენებურ ფიქრს და
ჩვენებურ წუხილს
ვხედავ, თანდათან
ღდინს როგორ ვაცლი.
ქალი მომგვარეს:
— აჰა, შენია! —
თქვა ბელადმა და
ხელი ხელს დამკრა, —
ქონი ამ ხეზე
აიშენეო,
არ გამაგონო
ლექსების ჯღაბნა!
მარტო ნუ წახვალ
სანადიროდო,
არ შეეჩეხო
ორფეხა ნადირს!
სული არ წაგცდეს
და არ ილოთო,
იცოდე ტომის
ფასი და ყადრი!
მაიმუნებში
არ გაერიო,
ჩუმ-ჩუმად ხორცი
არ ზიდო სახლში!
თუ გაგიტაცებს
სარგებელიო, —
აი, ამ ხეზე
დაგკიდებთ მაშინ!
სხვაც ბევრი მითხრა
ამისთანანი,
დავშორდით თითქმის
გათენებისას,
ბოლოს მაჩუქა
ორი ბანანი
და... სწორედ მაშინ
გამომეღვიძა!..

ილუსტრაციები
ჯ. ლოლუასი

ნახ. დ. თოთიბაძისა

უსიტყვოდ

ნახ. ბ. ლომბოძისა

— რა ვიცოდი, ერთის მაგიერ თხუთმეტი თუ დამხვდებოდეთო?!

ნახ. ბ. ზუბაშვილისა

ᲣᲚᲘᲪᲔᲜᲝᲒᲝ

ᲓᲐᲠᲪᲘ ᲛᲘᲬᲘᲡ ᲓᲐ ᲨᲝᲚᲝᲢᲘ ᲛᲐᲙᲕᲘᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ...

ᲗᲘᲗᲐᲜᲐ ᲘᲝᲐᲜᲔᲡᲘᲡ სიტყვა პირზე შეეშალა, როცა სიცხლეს ჩასთნის მოაკონი ᲘᲝᲐᲜᲔ ᲛᲝᲒᲠᲔᲚᲘᲫᲔᲡ შემოსულიყო, ᲓᲐᲒᲜᲐᲮᲐ ᲓᲘᲠᲘᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲛᲝᲒᲠᲔᲚᲘᲫᲔ მისი იმედი ერთი ხელის მოსმით ქარს გაგტანა: „ᲒᲣᲚᲘᲗᲐᲕ ᲒᲐᲠᲬᲘᲚᲔᲜᲘ, ᲠᲝᲓᲘᲡ ᲗᲣ ᲐᲠ ᲓᲐᲠᲩᲘ ᲨᲝᲚᲝᲢᲘᲡᲒᲐᲜᲘᲗ ᲗᲮᲘᲗᲮᲘᲡᲐᲗ?! ᲓᲐᲒᲐᲜᲐᲮᲐᲠ ᲑᲐᲠᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲜᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲓᲐᲜᲘᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲗᲘ ᲒᲐᲛᲐᲕᲘᲗᲐᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲠᲘᲗᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲐᲗ ᲓᲐᲜᲘᲠᲘᲡ ᲓᲐ ᲠᲘᲗᲘ ᲒᲐᲛᲐᲕᲘᲗᲐᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ

გულმავიწყი კაცია შალიკო წვერიკმაზაშვილი და ამის გამო — დაბნეულიც: სად რას დადებს, არ ახსოვს. სულ ჩქარობს და მაინც აგვიანებს. თავისი უკუღმართი ჩვეულების გამო, ვინ მოთვლის, რამდენი უსიამოვნება შეხვედრია.

მოსკოვში კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე რომ სწავლობდა, ორი წერილი გაამზადა, ერთი ოჯახს გამოუგზავნა, მეორე კი... არა! ბატონო, ქალების მუსუსი ნამდვილად არ ყოფილა, წყნარი, მეოჯახე კაცი იყო, მაგრამ პატარა, დროებითი რომანი ვის არ ჰქონია, და ის მეორე წერილი ერთ სათაყვანო, კეკლუცა არსებას გაუგზავნა. წერილები წინასწარ გამზადებულ კონვერტებში ჩააწყო, დააწება და ფოსტის ყუთში ჩაუძახა. როგორც იტყვიან, ეშმაკს არ ეძინა და მოხდა ის, მტერსაც რომ ძნელად უსურვებს კაცი. ეშმაკის ბრალია, თორემ როდის უზრუნია ეპისტოლურ მემკვიდრეობაზე, ახლა რომ მოიქაჩლა თავი? — დაიდო ფორმატის ფურცლები და ცოლს უნახაობით თუ ოჯახიდან იძულებითი სიშორით გამოწვეულ ნაღველზე, ერთგულებაზე ეფიცა. საყვარელს სულ ქვეშ გაეგო, შენთან შეხვედრამდე ქალისა და ბედნიერების ფასი არ მცოდნია და რა ბედნიერი ვარ, რომ ჭეშმარიტი სიყვარულის ბადაგს უზიარებლად არ მომკალიო... „ჩემო მზე და მთვარევ“, „ჩემო სულიკო“, „შენი ტუჩების ალმური ამ საყინულეთშიც კი მწვავს და მდაგავს“... ასეთი და ამგვარი ბანალური, მაგრამ საჭირო ფრაზებით გაამგრა აღსარება თავისი საყვარლისადმი, მერე, როგორც მოგახსენეთ, წერილები კონვერტებში მოათავსა, ენის წვერი გაუსვა, დააწება და ქაღალდის გემებივით ზურგქარს მიანდო...

ნეტავ თითები მოსტეხოდა!

ჯერ ცოლმა დაურეკა, განცხადება შევიტანე განქორწინებაზე და შენი თანხმობაა საჭირო, სახლში მოსული არ დაგინახოს ჩემმა თვალებმაო! მერე საყვარელმა მიწასთან გაასწორა, აფურთხა და ლანძღა ყურმილში: თუ ოჯახი ასე გიყვარს, მე რაღას მერჩოდი, რად შეიწირე ჩემი ყმაწვილქალობაო.

შემოირტყა თავში ხელი, მაგრამ წამხდარ საქმეს რაღას უშველიდა! კონვერტები არეოდა, საყვარლისადმი განკუთვნილი წერილი ცოლს გაუგზავნა, ცოლისა — საყვარელს.

ჩამოვიდა გასაცოდავებული და ნირწამხდარი, ორივე ერთად დაკარგა, ეს იყო ტრაგედია, თორემ ცალ-ცალკე კიდევ აიტანდა.

დაბნეულობის მსხვერპლი

ნოველა

ექვსი თვე ამხანაგების კარდაკარ იწანწალა და ბოლოს, როგორც იქნა, მოიღო ცოლმა მოწყალება, გასარეცხი პერანგებით, პერანგის ამხანაგებითა და წინდებით გაძეძგილი ჩემოდნით წარუდგინეს ოჯახს „ძე შეცთომილი“.

მას შემდეგ ხელი ჩაიქნია ამგვარ ფუფუნებაზე და იქცა თვინიერ მეუღლედ და მამად. ნეტავ ამასთან ერთად მის დაბნეულობასა და გულმავიწყობასაც მოღებოდა ბოლო, მაგრამ ეს თანდაყოლილი ჩვევებია, კონვერტში ვერ ჩადებ, ფოსტას ვერ გაატან!..

კვირა დილას ბაზარში იყო, წინ ცოლი მიდიოდა, უკან თვითონ მიჰყვებოდა ჩანთებით. ყურძნის საყიდლად შეჩერდნენ.

— ბიჭო, შალიკო არა ხარ? — გამოეცნაურა გამყიდველი.

— შალიკო ვარ! — გაკვირვებით შეათვალიერა ნაბდისქუდიანი, ჯმუხი გლეხკაცი.

— მერე და ვერ მიცან?!. აბა, კარგად დამაკვირდი! — დოინჯშემოყრილი მიაჩერდა დაბნეულ შალიკოს, — იი, შენ კი რა გითხარი!.. შაქრო ვარ, შაქრო მაძღარაშვილი!.. დაგავიწყდა, ალაზანში რო იხრჩობოდი და გამოგიყვანე?

— დიახ... დიახ... როგორ არა! გამახსენდი!.. — შუბლი გახსნა შალიკომ.

— მთელი ბავშვობა ერთად გავატარეთ, იქაურობა მაინც არ გენატრება, ჩამო, რა, ჩამო!.. მაწონაანთ გოგო რო მოგწონდა, ძაან ჯიშიანი გამოდგა, ხუთი ჰყავს, ოთხი გოგო და...

— ეს ჩემი მეუღლეა! — შეაწყვეტინა ალეწილმა შალიკომ.

— კეთილი და პატიოსანი! ოჯახობასაც თუ ჩამოიყვან, მაგას რა ემჯობინება!.. ექიმი რო ხარ, ვიცი, მაგრამ სად, რომელ საავადმყოფოში მუშაობ, ვინიცობაა კაცს დასჭირდე?

უთხრა, სადაც მუშაობდა.

— რათა გკითხე, იცი? ფეხზე თითის საქმე მაქ ცუდად, უნდა მოიკვეთოსო, მითხრეს, მაგრამ ჩვენი რაიონის ექიმებს ვერ ვენდობი!.. ეგებ რამე ეშველოს...

— ჩამოდი, ვნახოთ... თუ სამკურნალოა, მოვარჩინოთ, თუ არა და...

— ჰო, შენი ჭირიმე, საქმეებს მოვილევ და ჩამოვალ, თორემ შერე უფრო გამიჭირდება: საბარიო, საოთხნიო, ვენახიო, რომელი ერთი ჩამოვთვალო!.. საქმე არ გამრჩენია!

შაქრო მართლაც ჩამოვიდა, ყიცი, და თუ არა. მიაკითხა საავადმყოფოში.

იმდენ ფაციფუცში ძლივს მოიცალა, გასინჯა და — ამას დანის მეტი აღარაფერი უშველისო.

გაამზადა საოპერაციოდ. ნემსებიც დაჰკრეს, ნელ-ნელა ყველა თითში დაკარგა შეგრძნება და ტერფიც გაუბუჟდა.

„ახლავე, ახლავეო“, — შემორბოდა და გარბოდა შალიკო. ხან ტელეფონზე გამოუძახეს, ხან — პალატაში ავადმყოფთან, ხანაც თვითონ გადაავიწყდა, შაქრო რომ ელოდა... ბოლოს, როგორც იქნა, დაადგა საშველი.

— აბა, ჩქარა, თორემ თორმეტზე თათბირი მეწყება! — დააჩხაკუნა ინსტრუმენტები.

შაქრომ თავი გვერდზე შეაბრუნა, არ შეეძლო ოპერაციის ყურება.

— ნუ გეშინია, ვითომ ფრჩხილი მოგიჭრია... ჰო, დამაცადეთ! რაო, ვინ მკითხულობს?.. ოთხისთვის იქნება-თქო, — ყელი გამოუწია ექთან გოგოს, — აბა, გამაგრდი, შაქრო!.. ესეც ასე! თავისუფალი ხარ! — გაუღიმა დაყვავებით.

შაქრომ გაბედა თავის მობრუნება, ფეხზე დაიხედა და ფერი უარესად ეცვალა.

— ეს რა ქენი, კაცო, საღი მომაჭერი?!

— რას ამბობ! — ეცა გულგახეთქილი.

— გაგიჟდი, შე ოხერო?!

— მართლა შემშლია!.. მაპატიე!.. — უმწეოდ აიწურა ქირურგი.

— მაპატიეო, გაიგონეთ?!. მაპატიეო! — სულ გადაირია შაქრო.

მთელი საავადმყოფო თავს დაედოთ, ხარხარით ერთმანეთს აწყდებოდნენ. თვალებდაჭყეტილ შაქროს ვერ გაეგო, ცირკში მოხვდა თუ საგიჟეთში, კაცს საღი თითი წააცალეს და რა იყო სასაცილო?!.

მანქანამდე მიაცილა, თვალი თვალში ვერ გაესწორებინა, ოხრავდა, შუბლზე ხელს ირტყამდა, ეს როგორ მომივიდაო!

ისევ შაქროს შეებრალა:

— რაც მოხდა, მოხდა! თითების მეტი რა მაქ!.. კიდევ ქარგი, სხვა რამე არ მომაჭერ და მაშინ არ ვიცი, როგორ მოვრიგდებოდით! — ახლა უკვე თვითონაც გაეცინა, მანქანის კარი მიიჯახუნა და მძღოლს ხელი წაჰკრა, წადი!

ვანო ჩხიკვაძე

— ადამ, ამისთანა ვაშლებს ბაზარში ცეცხლი უკიდია, წავიღოთ, გავყიდოთ და კიდეც ჩავიცვამთ და კიდეც დავიხურავთ!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

ას ოცი წლის ბერიკაცზე ღმერთმა „შური იძია“:
საიმქვეყნოდ გაიმეტა კაცი, კოსტა ბიძია!..
ვინ დათვლიდა ჭირისუფალთ და ქელეხის მეკობრეთ,
პატიუებდნენ გზად გამვლელებს, ყველას, ნაცნობ-მეგობრებს!..
...ულერს მუსიკა სევდიანი ბეთჰოვენის, შოპენის,
ბევრსაც სცენა წარმოუდგა ჯადოქარი ოპერის.
ერთი ამბობს: „გასვენება მწამს მუსიკით ქართულით,
რად ვართ, კაცო, ევროპასთან ასე გადახლართული“?
გვერდში მდგომი იღიმება, თვალებს წკურავს ვნებიანს:
„გლოვისათვის შევარჩევდი ჰანგებს დაბალხმებიანს!“
მესამე კი განზე გადგა, მომსვლელ-მიმსვლელს გაჰყურებს!..
ქალებს — „დუბლიონკები“ და ბრილიანტის საყურე!..
კაცებს დღეის კვალობაზე — ჯინსები და „შუბები“!..
უქუდონი, გრძელი თმებით, დგანან, როგორც უბრები.
თვალსაჩინოდ ერთ ოთახში მოათავსეს ანიკო,
შესაწევარს წერს დავთარში, რომ შეცდომა არ იყოს!
პეტრე ზახარიჩის პაპას პატივს სცემენ კაცურად,
ზოგმა ორას მანეთამდე ხელი გაიმაცდურა!..
ჯიბეები მოიქექა დიდ-პატარა მოსულმა
და ვიღაცამ სიტყვა ბრძანა, ვით საელჩოს კონსულმა:
„ბატონებო, მეგობრებო, ეს რა ხდება, ნეტავი?!
რას სჩადიხართ?! რას აკეთებთ?! სირცხვილია, ღმერთმანი!
პეტრე ზახარიჩმა გთხოვათ!.. რად აწუხებთ ანიკოს?!
შესაწევარს არ ვლებულობთ, ეგეები არ იყოს!
კაცი მოკვდა! კიდევ მოვა? პრასია თუ ქინძია?
მოქეიფე იყო მართლაც ჩვენი კოსტა ბიძია!“
დაუწუნეს იმ კაცს სიტყვა, აყაყანდნენ რიგები:
„საქმე ნახე, მეგობარო, არ ვართ დასარიგები!“
პეტრე ზახარიჩი უმზერს ეზოს, ხალხით მოფენილს,
დასტირიან ძვირფას კოსტას ბეთჰოვენი, შოპენი...
კუბო მიაქვთ სოფლის მიღმა, მიაქვთ კოსტა ბიძია,
რაღას მოვა იმ ქვეყნიდან, პრასია თუ ქინძია?
ჩაასვენეს, დაიმარხა ას ოცი წლის ბაბუა!..
ჭირის სუფრის თამადაა ღვინეფაძე ჭაბუა.
სუფრა გადატვირთულია — თევზეული, ხაშლამა,
შემწვარი და მოხრაკული... ცხვარიც დაკლეს თავშავა.
ქალებისთვის — ტკბილეული, კაცებისთვის — „კახური“,
სუფრის მწკრივებს — უამრავი მერიქიფე, მსახური!..
შეთვრა ხალხი და თამადაც ატორტმანდა ანაზდად,
ზოგმა ენა ამოიდგა, ზოგი ქალიც განაზდა!..
„ხედავთ? ღმერთმა კიდევ ერთხელ ჩვენზე შური იძია:
არცა გვკითხა, გაიტაცა ჩვენი კოსტა ბიძია!“ —
ამბობს სუფრის თამადა და უანწს უვსებენ მადიანს:
„გაუმარჯოს დაობლებულ ჩვენს ზახარიჩს დარდიანს!“
„ეს თამადა რა ყოფილა! სადღეგრძელო არია!..
პეტრეს მამა? რასა ბრძანებთ! ის კაი ხნის მკვდარია!“
„მოქეიფე კაცი იყო ჩვენი კოსტა ბაბუა!“ —
მაგნატოფონს რთავს ამაყად ღვინეფაძე ჭაბუა,
ქუხს ქართული „საცეკვაო“, დუმს ბეთჰოვენ-შოპენი!..
ზახარიჩი გადაჰყურებს სუფრას, ხალხით მოფენილს!..
აირია ატმოსფერო, მოდის წვიმა, ლელეხი!..
არ იშლება მხიარული დიდი სუფრა ქელეხის!..

დავით მურმანიშვილი

კანჯარი

ᲘᲣᲛᲝᲠᲔᲡᲙᲐ

ნაშუადღევს ხალხმრავალ პროსპექტზე მიმავალს, დიეტაზე და სრულ ჭკუაზე მყოფს, ვირის ყროყინი შემომესმა, ჯერ გამიკვირდა, მერე ხმა მეცნო და წიგნის მაღაზიის ვიტრინასთან მივედი.

შევხედე და გულზე შემომეყარა — ვიტრინიდან ყურებჩამყრილი ოჩანი ვირი შემომყურებდა. ჩემი წიგნის ყდაზე, შარშან რომ გამოვეცი, მოკუნტრუშე გარეული ვირი — კანჯარი ეხატა და ახლა ალბათ მიცნო და თავი შემაცოდა.

დამტვერილი, მზით გახუნებული ჩემი წიგნის ყდას ძლივს ემჩნეოდა სათაური — „კ ა ნ ჯ ა რ ი“. ნახატის იმედი მქონდა, მეგონა, კანჯარი მკითხველთა გულებისკენაც ასე ლაღად გაიკუნტრუშებს და სამ ტირაჟსაც ზიდავს-მეთქი, მაგრამ ეტყობოდა, დაიოჩნა და ახლა ყურებჩამყრილი იდგა ჩემ წინ, ტვირთიც ხელუხლებლად ეწყო მაღაზიის თაროებზე...

რაკი კანჯარმა იმედები ვერ გამიმართლა, მომდევნო წიგნს „დ ი ზ ე ლ ი“ დავარქვი, ყდაზეც დიზელისძრავიანი ლოკომოტივი დავახატვინე და შედეგმაც არ დააყოვნა — „დ ი ზ ე ლ მ ა“ მონორელსებზე მფრინავი ექსპრესებისათვის შესაშური სიჩქარით გარბინა გამომცემლობა-სტამბა-საწყობთა ჩიხები და პირდაპირ წიგნის ბაზარში შეიჭრა.



მკითხველთა გულებამდე მცირე მანძილიღა იყო დარჩენილი, რომ „დ ი ზ ე ლ ი“ ანაზდად დამუხრუჭდა, შედგა და ადგილიდან აღარ დაძრულა. ხან ვუსუნე, ხან ვუკბინე, ხან ვუბიძგე, მაგრამ სტატიკური მდგომარეობიდან ვერ გამოვიყვანე. რა უნდა მომხდარიყო?

ნუთუ მხატვარმა მიღალატა და რომელიმე წამყვანი ნაწილი დააკლო? ვიღა არ მოვიწვიე კონსილიუმზე და ტექნიკურ ექსპერტიზაზე, მაგრამ „დ ი ზ ე ლ ს“ არაფერი ეშველა — იდგა და იდგა.

ბოლოს ისევ მე მივაკვლიე ნამდვილ მიზეზს — წიგნი სულ ორიოდე გროშად შეეფასებინათ და, აბა, საყვარელი ავტორის დამცირებას როგორ აიტანდა ჩემი მრავალრიცხოვანი მკითხველი? ჰოდა, ისინიც ადგნენ და გაფიცვა მოაწყვეს — სანამ არ გაგვიძვირებთ, ბენტერ ცერცეტაძის „დ ი ზ ე ლ ს“ არ ვიყიდითო! ამის გამო იყო, რომ სათოფეზე არავინ გაეკარა წიგნის თაროს, სადაც ჩემი ბესტსელერის დონეზე დაწერილი იმპრესიული პოემა „დ ი ზ ე ლ ი“ იდო. ის იყო, საჩივრის დაწერას ვაპირებდი, რომ ქუჩაში მიმავალი საოცარი სანახაობის მოწმე გავხდი: ჩემი „დ ი ზ ე ლ ი“ აძრულიყო და პირდაპირ მკითხველთა გულებისაკენ მიექანებოდა. ხალხი თვითონ ეგებებოდა საყვარელ წიგნს, ფაფუკ ქაღალდებში ახვევდა და ისე იკრავდა უბეში...

ამის მნახველს გული ამიჩუყდა და ნეტარების ცრემლიც დამდგმოდა.

„ალბათ ზედმეტ ფასებში ყიდიან და იმიტომ გაუჩენიათ ტაცობა“. — ამის გაფიქრება ძლივს მოვასწარი, რომ ერთი თმაგაწეწილი სანდომიანი გარეგნობის ქალბატონი ძლივს გამოვიდა რიგიდან.

გადავწყვიტე აქვე გავცნობოდი ჩემი ტალანტის თაყვანისმცემელს და ავტოგრაფით დამეჯილდოებინა.

— მაგ წიგნის ავტორს, პოეტსა და მწერალ ბენტერ ცერცეტაძეს პირადად თუ იცნობთ, ქალბატონო? — შევეკითხე.

— აჰ, ნეტავ ერთი მანახვა, თუნდაც შორიდან მომაკვრევინა თვალი! — —ნატვრასავით აღმოხდა მშვენიერ ქალბატონს.

„რაკი ასეა, ახლავე ახდენილი სასწაულივით გამოგეცხადებით, ჩემო საყვარელო, კუბოს კარამდე და იმის შემდეგაც საყვარელო მკითხველებო!“ — გავიფიქრე.

ის იყო, უნდა მეხარებინა. ბენტერ ცერცეტაძე მე გახლავართ-მეთქი, რომ ქალბატონმა სულ სხვანაირად დაამთავრა ასე: მშვენივრად დაწყებული ფრაზა.

— აი ამ გატენილ ჩანთას სიამოვნებით ვუთავაზებდი იმ ცარიელ გოგრაში!

— კი მაგრამ... რას ერჩით, ქალბატონო?! — ძლივს გამოვექომაგე საკუთარ თავს.

— იმას, რომ ტუალეტის ქაღალდი ვეღარ გვიყიდია, დამატებით აი ამ ვიღაცა დეგენერატის წიგნს გვატანენ!.. იაფი მაინც იყოს!..

აღარ მახსოვს, რამ ჩამახედა ქალის ჩანთაში. ჩავიხედე და თვალთ დამიბნელდა — ჩემი ახალთახალი „დ ი ზ ე ლ ი“ ტუალეტის ქაღალდის გორგოლაჭებზე შეეყენებინათ და აეყირავებინათ კიდეც.

მინდოდა მეყვირა: რას შვრებით, „დ ი ზ ე ლ ი“ არ დამიღუპოთ-მეთქი, მაგრამ ხმა არ მეყო.

შეშინებულმა თვალები დავხუჭე და ლოკომოტივის საგანგაშო სიგნალს რომ ველოდი, ანაზდად სადღაც სულ ახლოდან კანჯრის საცოდავი სლოკინი შემომესმა.

ᲔᲚᲒᲣᲯᲐ ᲛᲔᲠᲐᲑᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲣᲤᲐᲡᲝ სამედიცინო მომსახურება რესპუბლიკაში ხშირად ფასიანი ხდება.



ᲣᲡᲘᲢᲧᲕᲝᲓ

ნახ. გ. ᲚᲝᲛᲘᲫᲘᲡᲐ

ქართული ხალხური იუმორი

თბილისიდან ქუთაისის ერთ დაწესებულებაში დარეკეს. თქვენთან მივლინებაში მოვდივართ და როგორი ამინდიაო. მოსალოდნელი სტუმრობით ცოტა არ იყოს არცთუ ნასიამოვნებმა აბონენტმა უპასუხა:

— ისეთი ქარია, ბატონო, ქუდებს ტაქსით დავხდევთო!

— „ —

გეგია საჭმელს აჭმევდა შვილიშვილს და თან ეუბნებოდა: — თუ ამ საჭმელს მოათავებ, ჭკვიანი და ლამაზი ბიჭი გაიზრდებიო! ამ დროს რძალმა ჩაიარა და ჰკითხა:

— ჩემს ქმარს რომ ზრდიდი, მაშინ შიმშილობა იყოო?

— „ —

საავადმყოფოდან ერთი მიცვალებული მეგობარი დაქირავებული მანქანით სახლში გადაიყვანა შაკიამ, შოფერს ათი მანეთი ზიაწოდა, მაგრამ მძღოლმა იუკადრისა, მიცვალებული გადმოგაყვანინეთ და ათი მანეთი ცოტა არისო!

— მიცვალებული ოთხ არის, იმიტომ გაძლევ ათ მანეთს, თორემ ეგ რომ ცოცხალი იყო. ავტობუსს ხუთკაპიკიანი ტალონით მოჰყავდა შინო! — უთხრა შაკიამ.

— „ —

შაკიას ჰკითხეს. შენმა ბიჭმა მანქანის წაყვანა თუ იცისო?

— წაყვანა კი იცის, მაგრამ უკან მოყვანა არ იცისო! — უპასუხა შაკიამ.

— „ —

შაკიამ რესტორან „ნიავში" ისადილა, როცა ოფიციანტს ანგარიში მოსთხოვა, გაკვირვებულმა უთხრა:

— ბიჭო, „ნიავში" კი არა, „ქარიშხალშიც" რომ მესადილა. ამდენ ფულს იქ არ ვადამახდევინებდნენო!

— „ —

— შაკია, ოღონდ ის საქმე გამიკეთე, რაც გთხოვე და, ათასი მანეთი ჩემზე იქნება! ხომ იცი, კრინტის დამძვრელი არა ვარ!

— ორი ათასი მომეცი და, სადაც გინდა, იქ თქვი! — დაამშვიდა შაკიამ მთხოვნელი.

— „ —

— აი, ძმაო, კისერი!.. — წამოიყვირა პარიკმახერმა, როგორც კი კლიენტი სავარძელში ჩაჯდა.

— ამას ვარჯიში უნდა!

— ვარჯიში კი არა, დაბანა უნდა! — შეახსენა პარიკმახერმა.

— „ —

— წავიდეთ, ლუდის ბარს გიქებენ ქუთათურებს და თითო კათხა დავლიოთ. თან თევზიც დავაყოლოთ!

— არა, ძმაო! რომელ რესტორანშიც გინდა, იქ დაგპატიჟებ და მანდ ლუდის დასალევად არ წამოვალ!

— რატომ?

— თევზს თავის ზღვიანად ანგარიშობენ!

შეკრიბა ილია გაგულაშვილმა
(ქ. ქუთაისი)



№ 573
3.IX 1987

— უკაცრავად, ქუდს ხომ ვერ მოიხდიდით?

7-87 87-575

ევროპაში განლაგებული საშუალო სიშორისა და ოპერატიულ-ტაქტიკური რაკეტების ლიკვიდაცია რეალური გახდებოდა, რომ მას არ ეწინააღმდეგებოდეს ეგრეთ წოდებული „სამხედრო პარტია“ ნატოელი ქვეყნების იმ წრეებისა, რომლებსაც ატომური ომი სურთ.

ნახ. გ. მოკრაძისა



ნატოელთა ატომური ჯალსტუხი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“ № 16 (1746) აგვისტო. გამოდის 1923 წლის ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი ზაურ გოლეგაევი

სარედაქციო კოლეგია:

ავთანდილ ადეიშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), **ვაბუა ამირეჯიბი, ნომადა ბართაია, ბორის გურგულია, რევაზ თვარაძე, ჯემალ ლოლუა, ნოდარ ზალაზონია** (მხატვარ-რედაქტორი), **ალექსანდრე სამსონია, ბეჟან სიხარულიძე,** (მთავარი რედაქტორის მოადგილე), **ჯანსუღ ჩარკვიანი, თამაზ წივწივაძე, ნაფი ჯუსოითი.**

ტექნიკური რედაქტორი **ირაკლი დუნდუა**

გადაეცა ასაწყობად 27. 07. 87 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 21. 08. 87 წ. ქაღალდის ზომა 60×90 1/4, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 1,5, საღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 1,9, საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა, ლენინის 14. შეკვ. 1843 უე 04885. ტირაჟი 144.000. ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ჩვენი მისამართი: 380008, თბილისი-8, რუსთაველის პროსპექტი № 42.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-55-54, მთ. რედ. მოადგილის — 93-19-42, პ/მგ მდივნის — 93-10-78, მხატვარ-რედაქტორის — 99-02-38, განყოფილებათა გამგეების — 93-49-32, რედაქტორ-ლიტ. მუშაკების — 99-02-38, მდივან-მემანქანის — 99-76-69.

Сатирико - юмористический журнал «НИАНГИ». (На грузинском языке). Тбилиси, пр. Руставели № 42. Издательство ЦК КП Грузии Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, улица Ленина № 14.

ფასი 20 კაპ.
ინდექსი 76137

КОНТРОЛЬНЫЕ ЭКЗЕМПЛЯРЫ